№ 168

ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 1898 წ.**

**ფასი გაზეთისა:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 168

ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8 აგვისტოს.

კვირას, 9 აგვისტოს, სოფ. ბრილში (გორის მაზრა, სად. გომს ახლოს) განსვენებულთა

**თავ. ნიკოლოოზ დავითის ძის დიასამიძის და მისის მეუღლის თავ. გრიგოლ გეგუთაშვილის ასულის ქ. მ. ნინოს**

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც განსვენებულთა ოჯახი აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა.

პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევის 2 საათზედ. (1—121—1)

შაბათს, 8 აგვისტოს,

**თამარი სოლომონის ასულის ქართველიშვილის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს

გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკკლესიაში, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ **გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი** შვილებითურთ. დასაწყისი წირვისა დილის 9 საათზედ, პანაშვიდისა 11 საათზედ. (2—122—1)

პარასკევს, 7 აგვისტოს,

საზაფხულო თეატრში (მიხეილის ქ. იუნკრის სკოლის პირდაპირ)

**ზ. მ. საფაროვი** სცენის მოყვარეთა დახმარებით დასდგამს

**მზის დაბნელებას**

კომ. 3 მოქმ. ანტონოვისა

დასასრულ იქმნება **დივერტისმენტი, ლეკური** და **ბუნდოვანი** სურათები.

ადგილების ფასი 10 კაპეიკიდგან —1 მან. 50 კაპეიკამდე. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (2—უ.—2)

პირველი კერძო საავადმყოფო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩაქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. შ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (ლ)

### მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად დაამტკიცა უქვემევრდომილესი მოხსენება უწმიდესის სინოდისა, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის არქიმანდრიტი სერაფიმე დანიშნულ იქმნას ოსტროჟსკის ეპისკოპოსად, ვოლინის ეპარქიის მეორე ვიკარად და სახელ-წოდება და ეპისკოპოსად ხელ დასხმა მოხდეს ქ. პეტერბურგშიო.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორმა ბ-ნმა ბიკოვმა წინადადება მისცა ხელოსანთა მოურავს სეროზიანცს, რომ დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ სია ტფილისის ხელოსანთა მამასახლისებისა, მათის ამხანაგებისა და ხელოსნებისაო. თუმცა სახელოსნო წესდების ძალით ხელოსანთა გამგეობა მოვალეა იქონიოს ხელოსანთა სია, მაგრამ ტფილისის სახელოსნო გამგეობას არა ჰქონია ამგვარი სია და არცა აქვს, რის გამოც შეუძლებელია კაცმა გაიგოს, ვის რა გადასახადი ხდება.

*** ამ დღეებში კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ნ. რეიტერმა, ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა, ტფილისის პოლიცმეისტერმა ლ. პ. მასტიცკიმ და სახელმწიფო თეატრის დირექტორმა პ. ა. ოპოჩინინმა დაათვალიერეს პირველად სახელმწიფო თეატრის სცენის ზემოდ გამართული ცეცხლის [illegible] ყველა დეკორაციები და გახსნეს წყლის ორი კრანი. 2—3 წუთის შემდეგ სცენა წყლით აივსო. კომისია იმ აზრს დაადგა, რომ ცეცხლის მხრივ თეატრი უზრუნველ-ყოფილიაო.

*** სამშაბათს, 4 აგვისტოს, ტფილისს ჩამოვიდა ხაშურიდგან სახელმწიფო რკინის გზების სამმართველოს წევრი ინჟენერი ა. პ. დომბროვსკი და გაემგზავრა ყარსისაკენ ახლად გაყვანილ რკინის გზის დასათვალიერებლად.

*** 4 ივლისს ტფილისის პოლიცმეისტერმა ბ-ნს გუბერნატორს წარუდგინა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება მოსპობილ იქმნას ტფილისში მათხოვრობა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებას გადასცა ბ-ნმა ბრალმდებელმა საბრალმდებლო ოქმი ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნის აზ. ლაზარე ტიგრანოვის საქმის შესახებ, რომელსაც ისა ჰბრალდება, რომ 1898 წლის 15 ივნისს, საბჭოს ხმოსანთა კრების დროს, შეურცხყოფა მიაყენა ქალაქის მოურავს სიტყვიერადაო.

*** ქალაქის გამგეობის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ქალაქს წელს უფრო მეტი შემოსვლია სახლების დაფასების გარდასახადი, ვიდრე წინა წლებში შესდიოდა. სახელდობრ ქალაქის თვითმმართველობამ 1 იანვრიდგან 1 აგვისტომდის უკვე 205,000 მან. აიღო და ამ წლის ბოლომდის აიღებს კიდევ 115,000 მან.

[illegible] აცნობა სამკურნალო გამგეობას, რომ დუშეთის მაზრის სოფ. ქაშხვეთში ორი კაცია ავად კეთრითაო. ავადმყოფები არ არიან სოფლის მცხოვრებთაგან განკერძოებულნი და არავითარი წამლობაც არ არის იმათთვისაო.

*** რადგან მრავალმა მსურველმა წარუდგინა თხოვნა ქალაქის გამგეობას, რომ ჩვენ მოგვეცით იჯარით ქალაქის მამულებიო, ამიტომ გამგეობის განკარგულებით, ქალაქის მიწების მზომელმა დაგეგმა 32 ნაჭერი მამული ნავთლუღში, თითო ნაჭერი 80—170 საჟ. ზომისა, რომ ამ გვა-

## ფელეტონი

### იახში ხანუმ!

(ეტიუდი)

(დასასრული *)

ქუთაისის ერთს თვალ-საჩინო უბანში იმ დროს ერთი სახლი იდგა, რომლის თეთრად, სუფთად შელესილი კედლები მნახველს დღისით გულს უხალისებდნენ, ხოლო ღამე კიდევ თავისკენ იწვევდნენ თავიანთის სხივ-გამომცემ სარკმლებით, საიდგანაც გაჩაღებულს დარბაზში გამოსჩანდა მხიარულება და მხიარულება უდარდელი, ქართველური, უსაზღვრო. დღე და ღამ ირეოდა ამ სახლში ქალი, კაცი. დღე და ღამ მოისმოდა იმერულ სიმღერათა კრიმანჭულები, დაირის გამმაგებული „რუხები“ და გახურებული ტაში. ეს სახლი პელაგიას მშობლების სახლი იყო. პელაგიაც ამ მხიარულებაში, ამ გამუდმებულს ნადიმებში აღიზარდა.

განთქმული, პურ-მარილის კაცი იყო პელაგიას მამა. იმისი სახლი წარმოადგენდა ჩვენებურს „კლუბს“, სადაც დროზე და უდროოთაც იკრიბებოდა მაშინდელი დიდკაცობა. მრავალ-რიცხოვანი ოჯახი პელაგიას მშობლებისა, მიმზიდველი ძალი იყო სტუმრებისა; პელაგია ოჯახში ყველაზე უმცროსი იყო, მაგრამ მისი მონაწილეობა ამ საერთო მხიარულებაში აუცილებელი შეიქმნა მას შემდეგ, რაც იგი ცოტათი წამოიზარდა. მართალია, პელაგია ჩვეულებისამებრ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში დადიოდა და გაკვეთილების გამო იმდენი დრო არ უნდა ჰქონოდა, რომ ოჯახშიაც მონაწილეობა მიეღო საერთო მხიარულებაში, მაგრამ სასწავლებლიდგან დაბრუნდებოდა თუ არა, სახელმძღვანელო წიგნები განზედ ეყარა და პელაგია, ჯერ კიდევ რვა-ცხრა წლისა, დიდებთან ერთად დახტოდა და ლაღობდა. ამ დიდების შესაქცევად იმან მალე შეისწავლა ჩვენებური სიმღერები, ბაიათები და ამას შემდეგ ხომ დღე არ გაივლიდა, რომ სტუმრების სასიამოვნოდ ერთხელ მაინც არ ემღერა რამე პელაგიას ზარასავით წკრიალა ხმით. ბევრს ახსოვს ისიც, რომ პელაგია ბავშვობაშიაც ლექსებს ჩინებულად კითხულობდა და, რა თქმა უნდა, რომ ამ სიამოვნებასაც არავინ იკლებდა. რადგან ხომ ვიცით ყველას—„უყვარსთ უყვარსთ, მათ ტიკტიკი ჩჩვილის ყრმის“. პელაგიას ლექსების „რეპერტუარს“ პატარაობისას მხოლოდ რამდენიმე ასეთი ლექსი შეადგენდა:

„გოგო, გოგო შავ-თვალაო,
ბიჭმა შემოგითვალაო,—
ან მომეც შენი დანაო,
ან წამომყევი თანაო“ და სხვ.

მაგრამ შემდეგში იმდენად შეავსო და გაამდიდრა ეს რეპერტუარი, რომ მამიასაგან თარგმნილს „დემონსაც“ და ილიას „განდეგილსაც“ კოხტად ჩაარაკრაკებდა ხოლმე. ბარათაშვილის „მერანი“ ხომ მართლაც მიჰქროდა და მიჰქროდა პელაგიას პირით, უკანაც თითქოს მართლა „მოსჩხაოდა თვალ-ბედითი შავი ყორანი...“ ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ პელაგია იმ თავითვე „ხელის-ხელ საგოგმანო“ გახდა... პელაგიას სხვაგვარი ცხოვრება არც-კი შეეძლო. იმისი მშობლები სულ იმაზედ ჰფიქრობდნენ-სტუმრებისათვის პატივი როგორ და რითი ეცათ: „უფროსი დები კაბებსა, კორსეტებსა, ბალებსა და „ვეჩერებზე“ გადალეულნი იყვნენ, სხვანი კიდევ ცბიერობდნენ, მართალს და სასარგებლოს არასოდეს არ ეუბნებოდნენ და პელაგიაც საზოგადო ტალღას გაჰყვა. პელაგია ადრე მიეჩვია კაცების ცნობას, იმათს ხერხს, იმათს საქციელს და ისიც სხვასავით დროზედ თვალს იქნევდა ეშმაკურად, დროზედ იბუტებოდა, დროზედ გულიანად იცინოდა. ერთის სიტყვით, ახალგაზდა ქალმა ძალიან ადრე გაიცნო ცხოვრება და ადრე ჩაერია იმის ტალღებში. პელაგიას სახელი მხიარულების სინონიმი შეიქმნა, ხოლო მთლად თვითონ—განხორციელებული სილაღე. ამისთვისაც ევლებოდნენ ყველანი თავს.

პელაგიას მშობლებს მათმა გულუხვობამ მხოლოდ ის შესძინა, რომ თავიანთი ქალიშვილები ყველანი, პელაგიას გარდა, თუმცა დიდიმზითვით, მაგრამ მაინც შესაფერს ქმრებს მიათხოვეს, სულ რჩეულ თავადიშვილებს, ხოლო თვალ-გადაუწვდენელი მამულები ზოგი ურიას ჩააბარეს, ზოგი კიდევ ქუთაისის და თბილისის სათავად-აზნაურო ბანკებს. შემდეგ თვით „დამაშვრალნი, ტვირთ მძიმენი“ განემგზავრენ იქ, სადაცა „მართალნი განისვენებენ.“ პელაგია დარჩა ცის და ქვეყნის ანაბარა, მაგრამ მაინც არ დაიღუპა. ის შეიკედლა ერთმა მისმა მოხუცებულმა ბიძამ.

ჯერ სრულებით ახალგაზდა იყო პელაგია, როდესაც მშობლები დაჰკარგა, ასე 18—19 წლისა და, თუმცა მრავალი კარგი სასიძო თხოულობდა, არა ჰფიქრობდა გათხოვებას. მაინც ბევრს შეხვდა პელაგია, ბევრი ყმაწვილი კაცი გაიცნო და მათ შორის ალიოშაც.

ქუთაისში ერთი ყმაწვილი ჩოხოსანი იყო, სახელად სისინა, გიჟი, გადარეული ვინმე. „ქეიფში“ ყველას იმისი ეშინოდა—არა აგვიტეხოს რაო. ქალები მუდამ უფრთხიდენ—მეტად თამამიაო. სისინას ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ესმოდა და-

*) იხ. „ივერია“ № 167

რად ქალაქის გამგეობამ შეიძლოს შეღავათიან ფასად მისცეს იჯარით ტფილისის ღარიბ მცხოვრებელთ ეს ნაჭრები სახლების ასაგებად. დაგეგმული მამული მდებარეობს მნაცაკანის ხიდის მახლობლად ნავთლუხის ძველ გზასთან.

*** პოლიციის მეათე განყოფილების ბოქაულმა აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ამ უკანასკნელ დროში ქალაქის გამგეობა ძლიერ ცუდად ანთებს ქუჩებს შუაღამემდე, ხოლო შუაღამის შემდეგ ბევრ ქუჩებზედ სრულიად არ ანთებს. რის გამოც პოლიციის მოხელეებს არ შეუძლიანთ თვალ-ყური ადევნონ ღამის ქურდ ბაცაცებსაო.

*** ტფილისის დედათა მე-3 გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 27 აგვისტოს და დასრულდება 31 აგვისტოს. ამ კლასებს გარდა უადგილობისა გამო არც ერთი მოსწავლე არ იქმნება მიღებული სხვა კლასებში. გიმნაზიის მოსწავლეთა მეორედ გამოცდა დაიწყება 24 აგვისტოს.

*** რადგან მეტად გავრცელდა კავკასიის ჩაით ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიაში, ამიტომ ქუთაისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ სიყალბის ასაცდენად დღეიდგან ამ გვარ ჩაის ზედ უნდა ჰქონდეს ხოლმე აღნიშნული თავისი სახელწოდებაო.

*** ახალციხიდგან სწერენ გაზ. [illegible] ფლებში ხელ-ახლად იჩინა თავი ყაჩაღთა ბრბომ და ამ დღეებში ახალქალაქის გზაზედ ყაჩაღებმა გასძარცვეს და დასჭრეს ვაჭარი ებრაელი, რომელმაც ერთი დღე და იცოცხლა.

*** დ. ოჩამჩირე, (აფხაზეთი). 31 ივლისს ქნ არ—ას და გ—ას თაოსნობით გამართულ იქმნა „საცეკვაო საღამო“. საღამომ ვერაფრად ასიამოვნა დამსწრენი. არც სიმღერა იყო და არც რისამე წარმოდგენა. მხოლოდ გამოვიდა ორი პატარა ბავშვი და ერთმა მათგანმა წაიკითხა რუსულად კრილოვის არაკი: „волкъ изъ лѣсу въ деревню забѣжалъ“ და მეორემ „ворона и лисица“. ბუფეტი გაემართა ერთს მიკიტანს, რომელიც ყველაფერს მამასისხლად ჰყიდდა: მაგალითად, ბოთლი ლიმონადი 1 მ. ფასობდა. საზოგადოება გულ-ნატკენი დარჩა. ამ საღამოს 1 რიგის ბილეთი 2 მ. და 50 კ. იყიდებოდა. ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ ბილეთებს როცა ჰყიდნენ, ამბობდნენ, ერთის ღარიბის სტუდენტის სასარგებლოდ არისო.

*** აგდამი, (შუშის მაზრა). 2 აგვისტოს, ღამე, შუშის მაზრის მესამე საბოქაულო ნაწილის ბოქაულმა თავადმა დიმიტრი ვაჩნაძემ სოფ. აგდამის მახლობლად შეიპყრო ცნობილი ყაჩაღი ალალარ უსეინ კული-ოღლი, რომელიც წელიწადზე მეტია გავარდა ყაჩაღათ და თავზარსა სცემდა მთელს სოფ. აგდამის მიდამოს. თავ. ვაჩნაძემ გასაოცარი სიმხნევე და წინდახედულობა გამოიჩინა. სულ მცირე ხნის განმავლობაში ეს მეოთხე თუ მეხუთე ყაჩაღი შეიპყრო. ლამის არის, მთელის მაზრის სასიხარულოდ, ბოლო მოუღოს აქ ყაჩაღობას, ხოლო იმდენი ყაჩაღი, რამდენიც შუშის მაზრაშია, მთელს კავკასიაში არ არის. მარტო სოფ. აფატლუდამ 10—15 კაცია გასული საყაჩაღოთ. შეპყრობილი ავაზაკიც სოფ. აფატლუდამ არის.

*** ქალაქის მკურნალებმა გუშინ გასინჯეს ტფილისის აბანოების ყველა მექისეები და მათ შორის სამი კაცი აღმოაჩინეს ავი

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში ბევრი ყალბი ქაღალდის ფული გავრცელდა, რომელიც ისე ძალიან არის მიმგზავსებული ნამდვილ ფულს, რომ ძნელია გარჩევა. მხოლოდ მათ ყველას ერთი ნომერი უზის. ათ თუმნიანს უზის №-ი 25853, ხუთ მანეთიანს 766441—1894 წლისა, მანეთიანს—546,542—1894 წლისა.

*** შაბათს, 1 აგვისტოს, ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ფქვილით მოვაჭრეების შილოვეცკისა და რონესისა, რომელთაც ქალაქის გამგეობა უჩიოდა. შილოვეცკისა და რონესის საწყობებში ქალაქის აგენტებმა 1150 ტომარა გაფუჭებული და უვარგისი ფქვილი აღმოაჩინეს. თვით ბრალდებულთ აღიარეს მოსამართლის წინაშე, რომ ფქვილი გაფუჭებული იყო, მაგრამ ამასთან ამტკიცებდნენ, რომ ამ ფქვილის გაყიდვა აზრად არა გვქონია. იგი სხვა-ნაირად გვინდოდა მოგვეხმარებინაო. მოსამართლემ ბრალდებულნი გაამართლა.

*** გორის მაზრის დ. ცხინვალში ამ ჟამად გავრცელებულია ბავშვების ავადმყოფობა წითელა. ისეთი ოჯახი არ არის, რომ ერთ-ერთი ბავშვი ავად არა ჰყავდეთ.

*** სად. ბორჯომი. 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათზედ, გლეხს ბესარიონ ადეიშვილს უნდოდა შემხტარიყო მუშა მატარებელზედ, მაგრამ მატარებელს ქვეშ მოჰყვა, რომელმაც ორივე ფეხი მოსწყვიტა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

1 აგვისტო.

**დ. ზუგდიდი.** რას წარმოადგენს დაბა ზუგდიდი? მეც არ ვიცი რა გიპასუხოთ ამ კითხვაზედ, პატივცემულო მკითხველო. ჩვენს დაბას ერთსა და იმავე დროს წინ სვლაც ეტყობა და უკან ჩამორჩენაც. განა რომ გასაკვირველია ასეთი მოვლენა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ასეა.

იმ დროს, როდესაც სხვა დაბა-ქალაქების ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“ შეძლებისადაგვარად შრომობს და იღვწის უკეთ თანამოძმეთა გასაღვიძებლად, საქმით და სიტყვით სცდილობს უჩვენოს მათ კარგი და მისაბაძი მაგალითი, ფულს ჰკრეფს, წარმოდგენებსა მართავს და მოგროვებული ფუ[illegible]ლოებს, ამ დროს ზუგდიდის ინტელიგენცია, მისდა სამარცხვინოდ, სვამს, თამაშობს, ჭორიკნობს, ჩხუბობს და კიდევ ვინ იცის რას არ სჩადის.

მაგრამ, სანუგეშოდ, ზუგდიდი ამ კაუბატონების ანაბარა არ არის. ამ ბოლოს დროს შესდგა ერთი პატარა წრე და შეძლებისადა-გვარად შრომობენ საზოგადო საქმისათვის: მათის მეცადინეობით ხან და-ხან იმართება წარმოდგენები, რომლის შემოსავალიც სამკითხველო-წიგნთ-საცავის სასარგებლოდ არის გადადებული. ამ წარმოდგენიდგან შემოსულის ფულით უკვე დაარსებულ იქმნა სამკითხველო, სადაც რამოდენიმე რუსულ-ქართულ გაზეთებს წაიკითხავს მაინც კაცი. თორემ მანამდის მთელი ზუგდიდი რომ მოგეჩხრიკათ, გაზეთს ვერ იშოვნიდით წასაკითხად.

ჩვენი „ინტელიგენტები“ სასაცილოდ იგდებენ ამ მუშაკთა მოქმედებას და თავის დამცირებად სთვლიან იმათთან ერთად რამე საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღებას.

„კიდაც ბავშვები და სტოლიარები რაღაცას მიედ-მოედებიან, მათი გაგიჟებული მეორეთ იქნება გასაკეთებელი“-ო, იმახიან ეს კაუბატონები... დიახ, ჩვენი დაბა უკან მიდის და მასთან წინაც. უკან იმით, რომ ინტელიგენცია, ეს მოქალაქეთა მოწინავე რაზმი-თავის დანიშნულებას არ ასრულებს და კარგი მაგალითის მაგიერ, ცუდს იძლევა. წინ სვლა ეტყობა კიდევ იმითი, რომ უბრალო კაცებმა და იმათ, ვისაც ცოტაოდენი სწავლა მიუღიათ, გამოიღვიძეს, შრომას ხელი მოჰკიდეს და საზოგადო საქმის კეთებას შეუდგნენ.

ჩვენსკენ ეს თვე-ნახევარია რაც განუწყვეტელი წვიმა მოდის. სიმინდები მთლად გაფუჭებულია, გული გიკვდება ადამიანს, როცა ხედავ გაყვითლებულ სიმინდებს და ასე უბრალოდ დაკარგულს გლეხ კაცის შრომას. საწყალმა შრომის შვილმა ვერ იქმნა და ვერ შეიტანა სიმინდის ყანაში თოხი და სიმინდს ბალახი ვერ მოაშორა. უამისოდაც ქონებრივად ჩამორჩენილ ჩვენ ხალხს წრევანდელი წელიწადი მაჯლაჯუნასავით გულზე დააწვება და დაკვალიანებულ კისერს ერთი ორად უფრო დაუმძიმებს.

ვერ მიცნობ

## რუსეთი

—

ამ ჟამად სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტი არდგენს პროექტს ისეთ უმაღლესს სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომლის მოსწავლეთაც სპეციალურად უნდა შეისწავლონ რძისაგან სხვა და-სხვა გვარ საგნების დამზადება.

— სასულიერო უწყებაში [illegible] რაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოებები იქმნას დაარსებული იმ სასულიერო სემინარიებთან, სადაც ამ გვარი საზოგადოებანი არ არსებობენო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო მომავალ 1899 წელს ქ. სარატოვს გამართულ იქმნას სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო საგნების გამოფენა.

— ამ სამოსწავლო წლიდგან იმპერატრიცა მარიამის სახელობის პეტერბურგის დედათა ინსტიტუტებში განზრახვა აქვთ მზარეულობისა და ოჯახისათვის საჭირო ხელ-საქმის სწავლება შემოიღონ.

— საეპარქიო მთავრობათ წინადადება მიეცათ, რომ ურჩიეთ თქვენდამო რწმუნებულს სამღვდელოებას საჭირო ცნობები გაავრცელონ სოფლის ხალხში ბაღეულობისა, ბოსტნეულობისა და მეურნეობის შესახებაო.

## უცხოეთი

—

**ესპანია და შეერთებული შტატები.** ამერიკელები დიდს საგონებელს ჩააგდო კუბაში მყოფ ჯარის კაცთა ავადმყოფობამ. ციებ ცხელება მთელ ჯარს დაერია, ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე ასი კაცი ავად არ გახდეს. აი, რა თხოვნით მიუმართავთ შაფტერისათვის კუბაში მყოფ ჯარის უფროსებს: „ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერლები. ბრიგადის და დივიზიის უფროსები იმ აზრისა ვართ, რომ ჯარი დაუყოვნებლივ ამერიკაში უნდა იქმნას გადაყვანილი. ციებ-ცხელება საშინლად მძვინვარებს ამ ჟამად ჯარის-კაცებს შორის. თუ რამდენსამე ხანს კიდევ დაგვაყოვნებთ აქ, ჯარი სულ ერთიან ამოგვიწყდება...“ ამ თხოვნაზედ ხელი უწერიათ გენერალ-მაიორებს: კენტს, ბეტს და შეფტერს, ბრიგადის გენერლებს: სამნერს, ლიუდლოუს, ემს, ვუდს და რუზველს.

— ამავე გენერალ შაფტერისათვის სანტ-იაგოს მცხოვრებთ გადაუციათ შე-

---

ხელი ხანჯალზედ ეკიდა. ქალაქში ყველა ერიდებოდა; ციმბირში ალაგი დიდიხანია დამზადებული აქვსო. ოხუნჯობდნენ ხოლმე.

აი, ეს კაცი, ყველასაგან ათვალწუნებული, ყველასაგან განრიდებული, პელაგიას მოეწონა, თვალში მოუვიდა. მერმე და ვითომ რა ჰქონდა სისინას სახარბიელო? მამაპაპეული მამულიო, შეიძლება გაიფიქროს ვინმემ.—თქვენც არ მომიკვდეთ! მამაპაპეული მამული სისინას თვალითაც არ უნახავს. იმისი მამა თავ-მოყვარე კაცი იყო. მაინც არა მაქვს-რა, რაღაც ცხრა ქცევა მაბადია, სირცხვილით შვილს რავა დოუტოვოო გაიფიქრა და ვალში სხვას გაატანა სამემკვიდროდ. სხვა-კი სისინას რა უნდა ჰქონოდა! პირ-იქით უკვირდათ, რომ ყოველთვის ლამაზად და სუფთად გამოწყობილი გამოდიოდა ხალხში და ხან, საჭიროების დროს, წითელი ქაღალდებიც ბლომადა ჰქონდა ხოლმე. ეს იყო და ეს მთელი „ღირსება“ სისინასი. მაშ პელაგიას სისინასი რა უნდა მოსწონებოდაო? —იკითხავთ. ამას ჩვენ ვერ გამოვიკვლევთ და ვერც გამოუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ როდესაც სისინასი და პელაგიას ჯვარის წერა მოხდა, საზოგადოებაში ამბობდენ: „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო!“

რა თქმა უნდა, მოხუცი ბიძა მეტათ გაჯავრდა პელაგიას ასეთის ცუდის არჩევანით და თუ უწინ დიდს მზითევს ჰპირდებოდა, ეხლა ერთი მოუკალავი ქვაბიც აღარ გაატანა, ასე რომ სისინას პელაგია შერჩა ხელში და პელაგიას—სისინა.

თქვენს მტერსა და დუშმანს ნუ მისცემია ისეთი ხანგრძლივი ბედნიერება, როგორც ამ ორის ბედნიერება იყო ხანგრძლივი. სისინას გიჟმა ხასიათმა კვლავ იჩინა თავი და კვლავ დაიწყო მან ძველებური ქეიფი, ხანჯლოსნობა, „სკანდალები“ და სხვ. შინ-კი პელაგია მარტოობასა, ტირილსა და რაც ყველაფერზე უარესია—შიმშილ-წყურვილში ატარებდა დროს. ხშირათ დაბრუნდებოდა სახლში სისინა მთვრალი, გალეშილი და მაშინ იწყობოდა ცოლ ქმარ შორის ბედნიერი ცხოვრება: ლანძღვა, ჩხუბი, ხშირად მუჯლუგუნებიც. ქმარი მალი მალ აყვედრიდა ცოლს, ცალიერი ქალი შემოგიყვანე სახლში, მომატყუე და გამაბრიყვეო. ასე რომ ჩვენი თავისუფალი, მონავარდე ჩიტი „განაღამცა დაგვიღონდა...“

ერთს საღამოს ქუთაისის ბაღში დიდი ჩოჩქოლი იყო ატეხილი. რომელი კუთხე გინდოდათ—ყველგან ერთსა და იმავეს გაიგონებდით:

— სისინა მოუკლავთ, სისინა მოუკლავთო!..

— ვის? როგორ?

— საქეიფოთ ყოფილიყვენ სისინა და სიკო; კარგათ დაელიათ; მერე რაღაც ერთმანერთში ჩხუბი მოსვლოდათ და თუმცა სისინას სიკო სასიკვდილოთ დაუჭრია, მაგრამ სიკოს, სამაგიეროთ, ერთი ისე მაგრა დაუკრავს ხანჯალი, რომ იქვე სული დაულევია სისინას.

— აცხონოს ღმერთმაო. მეტათ ავი კაცი იყო განსვენებულიო!..

პელაგიას ზოგი ჰკიცხავდა, ზოგი ამ მკვლელობას იმას აბრალებდა. უმეტესად-კი კეთილ-შობილი მშობლებისაგან იყო პელაგია ათვალისწუნებული, მაგრამ ახალ-გაზდობა მაინც იმის მხარეს იყო და დიდს ქომაგობას უწევდა. მარტო მოხუცი ბებიები იბრალებდენ გულით პელაგიას და იმისი ექსის თვის „ბაღანას“ თამროს.

—

ერთი მაისი კიდევ დადგა. კიდევ გაიმართა კენჭის ყრა. თავად-აზნაურობა ჩამოიხვეტა ქუთაისში. მათ შორის ალიოშაც ჩამოვიდა თავის სოფლიდან უკვე მთლად დავაჟკაცებული. წვერი ცოტა არ იყოს ავერცხლფერებოდა და თანაც დარბაისლური სიმსუქნე დასტყობოდა. მებატონეობა საქციელის სიდინჯეში დამჩნეოდა; ეტყობოდა, რომ სოფლის წყნარს ცხოვრებას შესდგომოდა. ეს იყო ტიპი ჩუმი, უწყინარე ჩვენებური მებატონისა, რომელიც თვითონ ვერაფერს ვერ ითავებდა, მაგრამ ყოველ კარგს საქმეს გულით მაინც თანაუგრძნობდა.

ალიოშა ერთ სასტუმროში ჩამოხტა ნასადილევს, ძილის მაგივრათ ერთ თავისთან ერთად ჩამოსულ თავადიშვილთან ეტლით სეირნობა მოისურვა და კიდეც გაუდგა ფერმისაკენ, ამ ქუთაისის „ბულონის ტყისაკენ“. როდესაც ფეხით გაიარეს, ალიოშას წარსული მოაგონდა, გაახსენდა პელაგია და იმასთან გატარებული დრო.

— ნეტა სად არის ეხლა პელაგია? რას შვრება? როგორ არის?

ალიოშას ყველაფერი გაგებული ჰქონდა: პელაგიას გათხოვებაც, სისინას სიკვდილიც და ისიც, რომ ბოლოს დროს პელაგია ავად-მყოფობდა. აგრეთვე ის, რომ პელაგიას ბიძა უკვე გარდაიცვალა და იმას, სხვებთან ერთად ცოტა რამ სამემკვიდრო ერგო. მხოლოდ არ იცოდა, თუ სად იყო პელაგია და სად ცხოვრობდა. ეხლა კი ამ გახსენებაზე მეტათ მოუნდა მისი ნახვა.

— არა, უსათუოთ უნდა ვნახო, უეჭველად ქუთაისში იქნება. სად წავიდოდა სხვაგან? შენ ხომ არ იცი, ელიზბარ, სად არის პელაგია?

— რომელი პელაგია?

— აი, შე-კაცო სისინას ქვრივი.

— ჰო, ის ქუთაისშია, მარა რაზე გაგახსენდა?

— ისე, ძალიან მინდა ვნახო. საქმე მაქვს.

— ა-ბატონო, „იზვოშჩიკს“ ეცოდინება... საწყალი პელაგია! ვაი-ბეჩა რა ქალი იყო! არავის ეკარება

ტიცა, რომელშიაც სთხოვენ ამერიკის ჯარის უფროსს კუნძული კუბა ამერიკას შეუერთოთ. პეტიციაზედ 2000 კაცს უწერია ხელი.

— მადრიდიდგან იუწყებიან: „აქ ხმა დადის, რომ აზრადა აქვთ ესპანიის ტახტის მაძიებლის დონ-კარლოსის შვილს დონ-ხაიმეს ცოლად აწინდელის მეფის და, ასტურიის პრინცესა შეირთონ და ამ რიგად ესპანიის სამეფო გვარეულობის ბურბონთა ორ შტოს შორის მტრობა მოსპონო. ამ შეუღლების წყალობით თუ თვით დონ-კარლოსის შვილს არ ეღირსება მეფობა, იმის შვილის შვილს მაინც არ ასცდება, რადგანაც აწინდელი ახალგაზდა მეფე ალფონს მე-XIII ავადმყოფი კაცია და შეიძლება შთამომავლობა არა ჰყვანდეს. მაგრამ საეჭვოა, რომ ლიბერალთა დასმა ამაზედ თანხმობა განაცხადოს, რადგანაც ასეთი შეუღლება ლიბერალთა დამარცხებას ეთანასწორება. ამავე დროს ესპანიის ფინანსები უკან-უკან მიდის. მთავრობამ ახალი ქაღალდის ფული გამოსცა.

**საფრანგეთი.** დრეიფუსის საქმეში ქალებიც-კი ჩაერივნენ. ბელგიის მანდილოსნებს პეტიცია გაუგზავნიათ საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს-ფორის მეუღლისათვის, რომელშიაც აცხადებენ, რომ დიდად გვაწუხებს დრეიფუსის მეუღლის მდგომარეობაო. ის ზნეობრივი ტანჯვა, რომელიც ამ ქალმა სამის წლის განმავლობაში გამოიარა, ყველა ქალს მისდამი სიბრალულს აღუძრავსო. დასასრულ მანდილოსნები სთხოვენ პრეზიდენტის მეუღლეს, რაიმე შემწეობა აღმოუჩინეთ უდანაშაულოდ დატანჯულს, ეშმაკის კუნძულის პატიმარსაო.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სასამართლომ დაადგინა გაჰყიდოს ზოლას ქონება და იქიდგან ხიდოს ის 3000 ფრანკი ჯარიმა. გაზეთები სწერენ ეხლა, რომ ეს ფული ზოლას მეგობარმა ოქტავ მირბომ შეიტანაო. თვით ზოლას არ შეეძლო გაეგზავნა ფული, რადგანაც მაშინ სასამართლო დაასკვნიდა, რომ ზოლამ განაჩენის შინაარსი გაიგო. ჯერ კიდევ არ იციან, სად არის ზოლა და სად არა.

**გერმანია.** ფრანგულის ჟურნალის „Econ. Europ“-ის რედაქტორს გამოუანგარიშნია ის, თუ ბისმარკის პოლიტიკა რამდენად საზარალო ყოფილა ევროპისათვის. ამ პოლიტიკის წყალობით ევროპა 1865 წლიდგან ყოველ წლივ ერთი-ორად მეტ ფულს ხარჯავდა ჯარსა და ფლოტზედ, ვიდრე წინად. 1865 წელს ევროპამ ჯარსა და ფლოტს სულ 2,574 მილიონი ფრანკი მოანდომა. ბისმარკის მიერ ავსტრიის განადგურების შემდეგ, გერმანიამ სამხედრო საქმის საჭიროებისათვის 231 მილიონის ნაცვლად 346 მილიონი გასდო. 1870 წელს საფრანგეთის დამარცხების შემდეგ სხვა სახელმწიფოებმაც მეტი ფული გადასდეს. 1875 წელს რუსეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, ავსტრიამ, ინგლისმა, ბელგიამ, ჰოლანდიამ და შვეიცარიამ 3,264 მილ. ფრანკი მოანდომეს ჯარს ე. ი. 690 მილიონით მეტი ვიდრე 1865 წელს. 1880 წელს—3827 მილიონი, 1886 წელს—4,221 მილ. ხოლო 1898 წელს—4596 მილიონი ე. ი. ორჯელ მეტი. ეს მარტო ჯარის მომატებას მოუნდა, სხვა ხარჯი, რაც ამ ჯარის მომატებას მოჰყვა, კიდევ მეტია, ასე რომ ხსენებულის ჟურნალის რედაქტორის გამოანგარიშებით ევროპას ბისმარკის პოლიტიკა 1865 წლიდგან დღემდე სულ 45 მილიარდ ფრანკად დაუჯდა.

## სასამართლოს მატიანე

საქმე პ. გელეიშვილისა და ს. ყიფიანისა.

(დასასრული *)

ხელმეორედ გამოწვეულმა მოწმემ კოტე ბაქრაძემ სთქვა: მკერდში ხელი გელეიშვილს არ მოუკიდნია მოპირდაპირისათვის, ამას მე შევნიშნავდი. თქვენ ასე უნდა ჩასწეროთ ჩემი განცხადება: მე არ დამინახავს, რომ გელეიშვილს ხელი წაევლოს მკერდში ყიფიანისათვის და არ ვიცი ამ გარემოებას ჰქონდა აქ ადგილი თუ არა, რადგანაც მე იმ დღეს ისეთს მდგომარეობაში ვიყავი, რომ შეიძლებოდა არ შემენიშნა ეს ფაქტი. ორივე მხარე ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენ და ქართულად არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ.

*) იხ. „ივერია“, № 166.

მოწ. მეფისაშვილმა დაუმატა: მე არ დამინახავს, რომ გელეიშვილს ხელი ეტაცნოს ყიფიანისათვის მკერდში. ეს რომ ასე მომხდარიყო, მე უეჭველად შევნიშნავდი, რადგან ამ ჩხუბს დაწყებიდგან ბოლომდის ვუყურებდი.

მოწ. ალექსი გოცაძე (დურგალი). მე არ გამიგონია რა ლაპარაკი ჰქონდათ, მომჩივან-მოპასუხეს, დავინახე ის, რომ მოპასუხემ გაარტყა მომჩივანს და ხელი სტაცა თმაში. როცა ისინი გააშველეს, გელეიშვილმა მოუქნია ჯოხი, მაგრამ ვერ მოახვედრა, რადგან წერეთელმა დაიჭირა. ისიც დავინახე, რომ ერთმანეთს შეეჭიდნენ და შემდეგ ორივენი ანდრონიკაშვილის სახლის კედელს დაეტაკნენ. ჩემი ჩვენება ასე უნდა შეასწოროთ: მე არ ვიცი, მოწინააღმდეგენი დაეტაკნენ ერთმანეთს თუ არა; დავინახე მხოლოდ ის, რომ მოპასუხეს მომჩივნისათვის თმაში ხელი მოეკიდნა, უკანასკნელმაც წაავლო ხელი თუ არა, ეს არ დამინახავს.

მიხეილ კანდელაკი (ხელოსნების მამასახლისი). მე ეს დავინახე: ორივენი რაღაცაზე დაობდენ; შემდეგ გელეიშვილმა ორჯელ უთხრა ყიფიანს: „შენ „მაშენიკი“ ხარ“-ო! ამას მოჰყვა ყიფიანის სილა; შემდეგ გააშველეს; ყიფიანს ხელში ეჭირა გელეიშვილის თმის რამდენიმე ბალანი, ხოლო გელეიშვილს ყიფიანის წვერისა. ჩხუბის დროს ყიფიანს ხელიდგან ჯოხი გავარდა; გელეიშვილმა აიღო ის და უნდოდა დაერტყა, მაგრამ წერეთელმა შეაკავა. შემდეგ გელეიშვილი აგინებდა საძაგელის სიტყვებით: „მაშენიკო, ფლიდო“!

მოწ. კოსტ. ჯაყელი (სტუდენტი ოდესის უნივერსიტეტისა). ამ ამბავს მე ვუყურებდი ქიქოძის სახლის მოაჯირიდგან, სადამდისაც 40—50 საჟენი მანძილი იქნება ჩხუბის ადგილიდგან, დავინახე, რომ ყიფიანი და გელეიშვილი რაღაცაზედ დაობდნენ, შემდეგ ყიფიანმა სილა შემოჰკრა; გელეიშვილმა უკან დაიწია ისე კი, რომ თავი ცოტა დახრილი ჰქონდა ყიფიანისაკენ. ყიფიანმა ამ დროს წაავლო ხელი თმაში და ისე ძლიერად ეწეოდა, რომ ყველა მაყურებელს აღელვებდა; სხვა კაცები ჩაერივნენ და გააშველეს; ჯოხი ყიფიანისა გელეიშვილის ხელში გაჩნდა, მაგრამ მე არ დამინახავს, რომ გელეიშვილს ის მოექნიოს ყიფიანისათვის. გელეიშვილი ეკუთვნოდა იმ კაცთა რიცხვს, რომელნიც ჰკიცხავენ ყიფიანის მოქმედებას, როგორც სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორისას. მათ შორის ამის გამო უსიამოვნო დამოკიდებულება უნდა ყოფილიყოს, თუმცა მე ეს დანამდვილებით არ ვიცი. მოწმე კანდელაკს იმდენად განსხვავებული სახე აქვს, იქ რომ ყოფილიყო, სადაც ჩხუბი იყო, უეჭველად შევნიშნავდი, მაგრამ ეგ იქ, ჩხუბის დროს არა ყოფილა. მარტო სახე არა აქვს კანდელაკს ასეთი განსხვავებული, მთელი მისი აგებულება ასეთია. ჩხუბი მოხდა საკათედრო ტაძრის მოედანზე ტფილისის ქუჩის მახლობლად.

მოწ. ირაკლი მიქაძე. (მასწავლებელი ქუთაისის სამეურნეო სკოლისა) 1894—95 წლებში, კარგად არ მახსოვს, მე მიწვევდა ს. ყიფიანი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის აღმზრდელად და ამასთან მაძლევდა მასწავლებლის აგლაძის გაკვეთილების ნახევარს იმ პირობით, რომ მე რუსული ენა მესწავლებინა ესრედ წოდებულის მუნჯურის ანუ ბუნებითის მეთოდით და ამასთან მეთარგმნინებინა რუსული სიტყვები მეგრულად, როცა ეს საჭირო იქნებოდა, მაგრამ მე სხვა და სხვა გარემოებისა გამო, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქთ ამ მეთოდთან, არ მიმიღია ის ადგილი. რამიშვილი გაამწესეს იმ ადგილზედ. ქუთაისში არიან ისეთი კაცები, რომელთაც არ მოსწონთ ეს მეთოდი და ჰკიცხავენ მას. გელეიშვილი ეკუთვნის თუ არა ამ კაცთა რიცხვს, მე არ ვიცი. ამ ერთის კვირის წინად მოპასუხემ კირ. ლორთქიფანიძისა და ნ. მკურნალის თანადასწრებით მკითხა: „ხომ არაფერი გითქვამს ჩემს შესახებაო?“, რადგანაც ყიფიანი ამ დროს აღელვებული იყო, მე გავიფიქრე, რომ ყიფიანი მკითხავს: ხომ არა ჰკიცხავ ჩემს მოქმედებასაო. მე დავიწყე ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ მაძლევდა ყიფიანი აღმზრდელის ადგილს სკოლაში, მაგრამ იმან ლაპარაკი არ დამათავებინა. ბრალდებულის ვექილმა თ. ფადავამ სთხოვა მოსამართლეს ბ. ჩაჩიბაიას ბ. მიქაძის ჩვენების დასარღვევად ეკითხა ეს ამბავი კირ. ლორთქიფანიძისა და ნ. მკურნალისათვის.

მოსამართლემ ეს თხოვნა შეიწყნარა და საქმის გარჩევა 16 ივლისიდგან პირველ აგვისტომდის გადასდო.

### სხდომა 1 აგვისტოს.

ამ საქმის გათავებას და მის შედეგს ქუთაისის საზოგადოება მოუთმენლად მოელოდდა. „ბულვარსა“, ეგრედ წოდებულს „გასართობსა“ და ქუჩებში ამას გარდა სხვა სალაპარაკო საგანი აღარ იყო. ნაცნობები და მეგობრები, სანამ სასამართლოში საქმე გაირჩეოდა, ურჩევდნენ ორივე მხარეს საქმე სამედიატორო სამართლით გაეთავებინათ, მაგრამ მოწინააღმდეგენი ერთმანეთში ვერ მორიგდნენ.

რამდენად აინტერესებდა ეს საქმე ყველას, სხვათა შორის, იქიდანაცა სჩანს, რომ „Черноморскій Вѣстникъ“-ის ქუთაისელმა კორესპონდენტმა ამ საქმეს პოლიტიკური მნიშვნელობა მისცა და ბუკი დანაღარა დაჰკრა, რომ აქ იმალება სახელმწიფოს ინტერესიო. მეტად სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს.

1 აგვისტოს დილის ცხრა საათზე სასამართლოს დარბაზი მაყურებლებით გაიტენა; მაყურებელთა შორის რამდენიმე ქალიც იყო. 11 საათზე მოსამართლე შემოვიდა და გამოაცხადა: „გაირჩევა საქმე ს. ყიფიანისა და პ. გელეიშვილისა“-ო. ორივე მხარე თავთავიანთ ვექილებით გამოცხადნენ. მოწმებიც აქვე იყვნენ, მიქაძის გარდა, რომელიც ავადმყოფობის გამო არ მოვიდა. მომრიგებელმა მოსამართლემ 10 მან. ჯარიმა მიუსაჯა არ გამოცხადებისათვის ბ-ნ მიქაძეს.

მოწმეები არ დაუფიცებიათ.

მოსამართლე. (კირ. ლორთქიფანიძეს) რა იცით თქვენ ამ საქმისა?

მოწ. კირ. ლორთქიფანიძე. მე ამ საქმისა არაფერი არ ვიცი, რადგან

---

თურმე, თუმცა ნათესაობამ ძალიან თხოვა. არის თავისთვის და რაცხა იგი შეხვთა სამემკვიდრო ბიძა მისის, მითი ცხოვრობს. ცუდი ავათ ქვა თურმე, მარა ექიმსაც აღარ იკარებს... რა საქმე გაქვს ვითამ?.. სახლი არ ვიცი, შენ მომიკვტე ჲ ისე ქე ვიცი, რომ ქუთაისში.—მაგრამ ალიოშა აღარ უგდებდა ყურს თანამოსაუბრეს და მეეტლეს სასტუმროსაკენ მიაჩქარებდა, სადაც ამხანაგი ჩამოსვა და თვითონ, როგორც მეეტლემ უთხრა, „ბალახვანისაკენ“ გასწია. იქ ერთ შესახვევში, დაბალს ჩაფაქულს სახლში, ვიღაც დედაკაცმა კარი გააღო და დაკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პელაგია მართლაც აქა სცხოვრობდა. ის იყო ლამდებოდა და დაბალს, უსინათლო ოთახში თითქმის სრულებით ბნელოდა:

— ვინ არის, ეფემია?—მოისმა პელაგიას მისუსტებული და ძალზედ შეცვლილი ხმა.

— ვერ მიცანი, პელაგია?—დაუახლოვდა ალიოშა ხლის ჩამოსართმევათ.

— აა!.. გოგო, სანთელი! ხმა მეცნობა... კნიაზ ალექსანდრე?

— გოგომ სანთელი აანთო.

— გახლავარ, ჩემო ბატონო...რავა ხარ, პელაგია?

— ეე, რაღა ყოფნა, ჩემო ალექსანდრე?!. „მე ყველასაგან უარ-ყოფილი, ვგდივარ მარტოკა“... მამია ხომ გახსოვს...

— მერე, შენი ბრალია, შენი ჭირიმე!—არავის არ იკარებ თურმე. დებს უთხოვია და არ წაყოლიხარ... ეგ არ ვარგა, შენ არ მომიკვტე.

— ბიჩა ალექსანდრე, რათ მინდა აბა ისინი! ტყუილა მე ვერაფერს გამირიგებენ და მეც მათ შევაწუხებ... არ კმარა ისიც, რომ ჩემი თამრო წამართვეს. მე მარტოობა მირჩევნია. უფრო ნათლად წარმოვიდგენ ჩემს შეცდომებს.

— აბა, რა დროს შეცდომებია, შენი ჭირიმე... მორჩენაზე უნდა ვიფიქროთ. ღვთით კიდევ ახალგაზდა ხარ, იწამლებ, მორჩები, გულს ჯავრს გადიყრი და კიდევ კარგათ იქნები...

— ეე, ალექსანდრე, ნუგეშისავით არაფერი მეჯავრება! რაღა დროს ჩემი მორჩენაა! ერთხელ რომ ჭადი გატყდება, მერე იმას ველარაფერი შეაწებებს... ამას დავეთხოვოთ... ვაიმე დედა! წელი, წელი! შენ სხვა მითხარი რამე ახალი!—რავა ხარ, რავა ცხოვრობ?.. მართლა, გევიგე, ცოლი შეგირთავს, შვილები გყავს. ბედნიერი კაცი ხარ.

ალიოშამ თავი ჩაღუნა ცოლ-შვილის მოგონებაზედ, რადგანაც ანგარიშით შერთული ცოლი, მეტათ კაპასი გამოადგა და მასთან ცხოვრებას ბედნიერება არ დაეძახებოდა. მაგრამ მაინც თავი აიღო და უპასუხა:

— მადლობელი ვარ. ასე, გახლავარ ერთნაირათ. ცოტა რამ პელაგიასაც გაგონილი ჰქონდა ალიოშას შინაურ ცხოვრებაზედ და ამაზე ლაპარაკი აღარ განაგრძო, თუმცა უიმისოთაც საშინელმა ხველებამ მოუსწრო. სიჩუმე ჩამოვარდა. ალიოშა გაშტერებული შესცქეროდა პელაგიას. უკვირდა, როგორ შეეძლო ამ ქალს იმისი ეგეთი გატაცება, ამ გამხმარსა და გამოლეულს ადამიანს სრულებით აღარ ეტყობოდა ის მომხიბლაობა, რომელიც ეგრე თავს უბრუებდა ოდესღაც ყველას. მხოლოდ ერთი-ღა თვალები ჰქონდა უწინდელი; მიმზიდველი ძალი მხოლოდ მათღა შერჩენოდათ. ალიოშას მოაგონდა ბაიათები, „აღმართ, აღმართ“, „იახში ხანუმ“. რა ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ! ნეტა არ ენახა ალიოშას ეხლა პელაგია, ის პირველი წარმტაცი სახე მაინც ჩარჩებოდა გულში და ისე ჩავიდოდა საფლავში!

— მეგრელმა თქვაო—სთქვა პელაგიამ, როდესაც ხველა დაუწყნარდა,—ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, ღმერთმა ჩემი სიბერეც ნუ აჩვენოსო.

ალექსანდრე შეკრთა, თითქო პასუხი გასცესო მის ნაფიქრს.

— ოო, ღმერთო, არ მინდა ასე წოლა!—სამი წელიწადია ქალაქი არ მინახავს... წავიდეთ, ალექსანდრე, წამიყვანე.—წავიდეთ ფერმაში და იქ ვიმღეროთ: „აღმართ, აღმართ მივდიოდი მე ნელა...—გააყოლა ხმა პელაგიამ, მაგრამ სადღა იყო ის ძველი ბგერა, ის ხმის შეთამაშება. აქ ამბობდა ვიღაც ხრინწიანი, ავად-მყოფი დედაკაცი და ისიც სად? რაღაც დაბალს, ბნელს ოთახში, ჩახუთულ ჰაერში... ო, ღმერთო! რა დიდი მანძილი იდო ამ ორ სურათს შუა: სიბერე და ახალგაზდობა, სიმრთელე და ავად-მყოფობა.

— ხა, ხა, ხა!.. ვაი ღმერთო!.. ოი, წელი, წელი!.. ეჰ!.. ალექსანდრე, შეგაწუხე, შენ მომიკვდე!.. ა?.. იახში ხანუმ?..ჰო, მართალია, იახში ხანუმ! ოოჰ! წადი, წადი, ალექსანდრე, ტყუილა ნუ შეწუხდები... მე-კი ვერავინ ვერ მიშველის... ვერც ძველი სიყვარული... წადი, მარტო დამტოვე..

და მართლაც... წავიდა ალიოშა, დასტოვა მარტოდ პელაგია... თან წაიღო რა?—გული მოწყლული წარსულის მოგონებით და აწმყოს სანახავითა... იგი მიდიოდა ჩაფიქრებული, მძიმე ნაბიჯით ქუთაისის ბნელ და ყრუ ქუჩებში, მხოლოდ ზოგან, ობლათ მდგარ ფანრის შუქზე შეამჩნევდით მის ლაწვ-წამწამზე ცრემლს, ამ ობოლს მარგალიტს წმიდა გრძნობისაგან წარმოშობილსა და თითქო მთრთოლარე ბაგეებს, რომელიც ვითომ და ამას ამბობდნენ:

— დიაღ, ქალო, შენი საქმე წასულია... ველარაფერი ვერ გიშველის... იახში ხანუმ!..

შალვა დადიანი

ჩხუბს მე არ დავსწრებივარ. ეს ამბავი სხვისაგან გავიგე. მიზეზი უსიამოვნებისა მე არ ვიცი.

მოწმე გ. მოსამართლე. რა სთქვა თქვენის თანადასწრებით ირაკლი მიქაძემ სამეურნეო სკოლის ბაღში, როცა ყიფიანმა ჰკითხა მას: „ქვენა სთქვით ვისთანმე, რომ მე ვითომ იმ პირობით მეძლიოს თქვენთვის მასწავლებლის ადგილი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში, რომ რუსული ენა მუნჯურის მეთოდით გესწავლებინოთო?“

მოწ. კ. ლორთქიფანიძე. ჩხუბის წინა დღის დილით ჩემთან იყო ს. ყიფიანი; ჩვენ ერთად ვლაპარაკობდით სენაკის სკოლის სამეურნეო განყოფილების პროგრამის შესახებ. ამ დროს შემოვიდა ჩვენთან ბ ნი გელეიშვილი და მთხოვა მეჩვენებინა მისთვის საქმეები სენაკის სკოლის შესახებ, მ გრამ მე უარი უთხარი... გელეიშვილმა უსაყვედურა ყიფიანს, რომ იგი არღვევს სკოლის პროგრამას, რადგან შემოიღო სკოლაში მუნჯური მეთოდი, რომელიც ყველასაგან დაწუნებულია. ყიფიანმა ჰკითხა: „თქვენ საიდგან იცით, რომ სენაკის სკოლაში ეს მეთოდი არსებობს, თქვენ არაოდეს არ ჰყოფილხართ იქ, ეს ტყუილი ამბავი გაგიგონიათო“. გელეიშვილმა უპასუხა: „მე სარწმუნო კაცისაგან გავიგე, რომ თქვენ იწვევდით ერთს მასწავლებელს იმ პირობით, რომ მას ესწავლებინა მუნჯურის მეთოდით. ეს პირი ირ. მიქაძეა“-ო. შემდეგ გელეიშვილი წავიდა ჩემის სახლიდან. დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ჩვენც გავემგზავრეთ სამეურნეო სკოლისაკენ, რომ იქ ამ სკოლის უფროსთან ერთად (ნ. მკურნალთან) მოგველაპარაკნა ზემოხსენებულის პროგრამის შესახებ. მოვიწვიეთ მიქაძე და ვკითხეთ: ,,მართლა ყიფიანი იმ პირობით გიწვევდათ, რომ მუნჯური მეთოდით გესწავლებინა სკოლაში?‘‘ მიქაძემ სთქვა, რომ არაო; არავითარი მაგისთანა პირობა ჩვენ შორის არა ყოფილაო.

იგივე დაამტკიცა მეორე მოწამემ ბ. ნ. მკურნალმა, რომელიც ამ ლაპარაკს დასწრებოდა.

ბრალდებული ს. ყიფიანი. თორმეტ ივლისს, როდესაც ქალაქის მოურავი უნდა აერჩიათ, მე საკათედრო ტაძრისაკენ წაველი, რადგან მეგონა არჩევანები ანდრონიკაშვილის სახლებში მოხდებოდა. მე და კოტე ბაქრაძე ვიდექით ამ სახლის წინ და ვლაპარაკობდით. ამ დროს გელეიშვილმა გამოიარა ჩვენს ახლო; ვსთხოვე ერთის წამით მოსულიყო ჩემთან. გელეიშვილი მოვიდა. მე უთხარი წყნარად: ,,გუშინ მქონდა შემთხვევა შემემოწმებინა თქვენი ნათქვამი ჩემ შესახებ და, წარმოიდგინეთ, რომ მიქაძემ სრულიად წინააღმდეგი სთქვა‘‘. გელეიშვილი აღელდა და მომაძახა: ,,ეს არ ეკადრება რიგიანს ადამიანს, უზრდელობაა თქვენის მხრივ, რომ ჩემს დაუსწრებლად შეგიმოწმებიათ ჩემი ნათქვამი!‘‘-ო. როცა მევუთხარი: ,,რა არის აქ უზრდელური და არა საკადრისი? თუ კი თქვენ ქუჩაში ჰკრებთ უსაფუძვლო ხმებს და ჭორებს და ამ ჭორებზე აფუძნებთ ჩემის პირადობის კიცხვა-გინებას, ნუ თუ მე არ შემიძლიან თქვენი ნათქვამი სხვების თანადასწრებით შევამოწმო-მეთქი“ — გელეიშვილმა ხელ-მეორედ მომაძახა: „ვიმეორებ, ეს სიბინძურეა, ეს ფლიდობაა!“ „როგორ მიბედავთ ამ სიტყვებს მეთქი?“ უთხარი, მაგრამ იმან კიდევ მომაძახა: ,,მიტომ რომ შენ გაიძვერა ხარ!‘‘ — (МОШЕННИКЪ). მაშინ ველარ მოვითმინე და, სამწუხაროდ, სილა გავარტყი. გელეიშვილი მკერდში მომვარდა. შემდეგ კოტე ბაქრაძემ გაშველება დაგვიწყო. გელეიშვილმა დაიწია ჯოხის ასაღებად, რომელიც ხელიდგან გამვარდა, მაგრამ თმაში ვტაცე ხელი და არ გაუშვი, იმან მაინც მოასწრო ჯოხის აღება, თუმცა ველარ მომიქნია, რადგანაც ძალიან ახლო იდგა, დაკვრით კი ოდნავ დამკრა ხელზე; ხელებიც დამაკაწრა და წვერშიაცა მტაცა ხელი; ამ დროს წერეთელმა მომაშორა გელეიშვილი, რომელმაც რამდენჯერმე მომიქნია დასარტყმევად ჯოხი, მაგრამ ვერ მომარტყა, რადგანაც სხვები არ უშვებდნენ.

ბრალდებულის ვექილმა ჰკითხა გელეიშვილს: ,,საჩივარში აცხადებთ თქვენ, რომ არავითარი მიზეზი არ მიგიციათ ყიფიანისთვის არც სიტყვიერად, არც მოქმედებით; იმან უმიზეზოდ და უსაბაბოდ მოგაყენათ შეურაცხყოფაო; გთხოვთ, მიბრძანოთ, ეხლა, როდესაც მოწმების ჩვენება დასრულდა, ისევ იმ აზრისა ხართ?‘‘

პ. გელეიშვილი. დიახ, იმ აზრისა ვარ, რომ მე არავითარი მიზეზი არ მიმიცია. ამ დროს ვექილი ჯაფარიძე გელეიშვილთან მივიდა და ჩუმად რაღაც უთხრა. ამის შემდეგ გელეიშვილმა სთქვა: ,,მე არა მსურს მაგ კითხვაზედ მოგიგოთ‘‘ო. ვექილმა თ. ფალავამ შენიშნა მომჩივარის ვექილს, რომ მისი საქციელი (ჩურჩული) საკადრისი არ არის. შემდეგ მიუბრუნდა მოსამართლეს და მოახსენა: ,,გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მომჩივარის გულწრფელ ჩვენებას, იმ მომჩივარისას, რომელიც ითვლება ერთ საუკეთესო წარმომადგენელად ზოგიერთა ახალგაზდებისაო.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მომჩივარის ვექილმა ბ-ნს. ჯაფარიძემ. ჯაფარიძე ამტკიცებდა, რომ ყიფიანმა ორნაირი დანაშაული ჩაიდინაო: პირველი ის, რომ ხელით შეურაცხყოფა მ აყენა ბ-ნ გელეიშვილს, და მეორე ის, რომ ძ ლადობა ჩაიდინა, თმაში სტაცა ხელი თავის მოპირდაპირეს; ხოლო გელეიშვილს არავითარი მიზეზი არ მიუცია იმისა, რომ ყიფიანი ამ გვარად მოჰქცეოდაო. ვექილმა ითხოვა 135 და 142 მუხ. ძალით ყიფიანი დაესაჯა.

ბრალდებულის ვექილმა თ. ფალავამ თავისს სიტყვაში ის აზრი წარმოსთქვა, რომ ბ-ნმა გელეიშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა ყიფიანს და ამ უკანასკნელმაც ველარ მოითმინა, ორივემ ერთმანეთს თანაბარი შეურაცხყოფა მიაყენესო. ვექილმა ითხოვა, რომ ყიფიანი სრულიად გაამართლეთო.

მოსამართლემ, იხელმძღვანელა რა სისხ. სამართ. კანონდებულების 135 და 142 მუხლის ძალით, ყიფიანს სამი კვირით დატუსაღება გადაუწყვიტა.

ზიარელი

# დამაკვირდი

მწერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკეობაა.

აკაკი

* * *

ეკკლესიანი ქვათანი ოდესმე დაირღვეს და აღაშენიან მათვე ქვით, ხოლო ეკკლესიანი ხორცთანი ოდეს დაირღვენ, ვერვინ შემძლებელ არს განკურნებად, ვერცა მკურნალი, ვერცა მეფე.

პეტრე კათალიკოზი

* * *

დასაბამი ნაშენებისაჲ საძირკველი არს, და დასაბამი ნავისაჲ დჳრე იგი საშუალ მდებარე არს, და დასაბამი დაბადებისა ცხოველთაჲსა გული არს.

წმ. ეფთვიმე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოგეხსენებათ, ამერიკაში ვაჭრობა-მრეწველობა ძალიან არის გავრცელებული. ამერიკელი ვაჭარი, როგორც ყველა სხვა ქვეყნის ვაჭარი, ყოველ ღონესა ღონობს, რომ მალე და კარგ ფასად გაასაღოს თავისი საქონელი. მაგრამ ისეთს ხერხს, როგორსაც ამერიკელი ვაჭრები იგონებენ თავიანთის საქონლის გასასაღებლად, ვერცერთი ქვეყნის ვაჭრები ვერ მოიგონებენ. აი, მაგალითად, ერთი ამერიკელი ვაჭარი რა ეშმაკურად მოქცეულა. ერთს გაზეთში მოთხრობის დასაწყისი იყო დაბეჭდილი. ამ მოთხრობაში აწერილიც თავ-გადასავალი ერთის მისიონერისა, რომელიც ახალგაზდა ლამაზ ქალიშვილთან ერთად კაცის მჭამელ ველურებით დასახლებულ კუნძულზედ სცხოვრობდა. თავის ქადაგებით მისიონერმა ისე მოაბეზრა თავი კაცის მჭამელებს, რომ ამ უკანასკნელთ ერთს მშვენიერ დღეს პატივცემული მქადაგებელი წუთი-სოფელს გამოასალმეს, ხოლო იმისი ქალი წილად ერთს ველურს, სახელად ტანგაროროს ერგო.

— ხომ არ მისცემ ნებას აქაურებს, რომ შემჭამონ?.. უთხრა საწყალმა ქალმა, როდესაც ტონგარორომა შინ მიიყვანა.

— შენი გადარჩენა მხოლოდ ერთის პირობით შემიძლიან, მიუგო ველურმა. ჩემი ცოლი უნდა გახდე.

— შენი ცოლი?—შეჰყვირა შეშინებულმა ქალმა.—არასოდეს! ის მირჩევნია, შემჭამონ და გამათავონ.

— კარგი, მაგასაც დიდის სიამოვნებით აღგისრულებ.

საღამოზედ ტანგარორო სხვაგან უნდა წასულიყო, ამიტომ აიღო ჯაჭვი და ქალი ქოხში ერთს დიდს ბოძზედ მიაბა. ჯაჭვი ქალს ხელზედ ჰქონდა მობმული.

ღამე ქოხში ვიღაც კაცი შეიპარა.

— შენა ხარ, ტანგარორო?—ჰკითხა ქალმა.

— არა—მიუგო უცნობმა,—მე ლოტუ ვარ, აქ შენ განსათავისუფლებლად მოვედი.

— საუბედუროდ მაგას ვერ მოახერხებ, ტირილით მიჰმართა ქალმა—ბოძზედა ვარ მიჯაჭული.

— მე ტანგარორო ისე ძალიან მეჯავრება, რომ სხვა ნაირად გადაუხდი სამაგიეროს.

— როგორ,—ჰკითხა ქალმა.

— ხელს მოგკრი და ისე წაგიყვან.

ამ სიტყვებთან ერთად ლოტუმ დიდი დანა ამოიღო და ქალს მიუახლოვდა.

ამ ადგილას სწყდება მოთხრობა. მხოლოდ ბოლოში შემდეგი შენიშვნა აქვს მიწერილი:

„ვისაც ჰსურს მოთხრობის დასასრული შეიტყოს, კეთილ ინებოს და იყიდოს რობინზონის ვაქსი. ამ ვაქსის კოლოფში ჰნახავს მოთხრობის გაგრძელებას.“

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 აგვისტო

**მურინო.** 4 აგვისტოს, 9 საათზედ, მათი უდიდებულესობანი ელაგონის სასახლიდგან სოფ. მურინოს წაბრძანდნენ. მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ საიმპერატორო საკვარეულოს წევრნი, სამხედრო მოხელეობა, ამალა და უცხო სახელმწიფოთა აგენტები. შესხდნენ თუ არა ცხენებზედ მათი უდიდებულესობანი გაემართნენ სოფ. ძველ და ახალ დევიატკინოს გზით ტოქსოვოსაკენ. დილის $10\frac{1}{2}$ საათზედ მათი უდიდებულესობანი მოვიდნენ სოფ. კუზმალოვოსთან, სადაც მდინარესთან გამაგრებული იყო ჩრდილოეთ კორპუსის ერთი რაზმი და სადაც იმყოფებოდა ამ კორპუსის უფროსი თავ. ობოლენსკი. დილის $11\frac{1}{2}$ საათზედ მათი უდიდებულესობანი სოფ. კუზმალოვოდგან უკან დაბრუნდნენ მურინოს, სადაც სამხედრო საფერშლო სასწავლებლის ცბანაკ ბაღში გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე. საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი დაბრუნდნენ უკან ელაგინის სასახლეში.

**მადრიდი.** მარშალმა ბლანკომ განაცხადა, რომ სამსახურს თავს დავანებებ, რადგან არ შემიძლიან ხელმძღვანელობა გავწიო კუბის ევაკუაციაშიო.

**ჰონკონგი.** აუგუსტიმ აცნობა ერთს თავისს მეგობარს, რომ დევემ ითხოვა მანილია ერთის საათის შემდეგ დაგვმორჩილდესო. ესპანელთ უარი შეუთვალეს და ამის გამო დევემ ყუმბარები დაუშინა ქალაქს, ესპანელთ თეთრი დროშა აღმართეს. აუგუსტი გადავიდა გერმანელთა ნავში და გადავიდა Kaiseriu Augusta-ზედ. ნავი წავიდა ყუმბარების სროლის დასრულებამდე.

**ჰონკონგი.** აუგუსტი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან 5 აგვისტოს. უფროსობა იკისრა ხუანდენესმა. აქ მოვიდა გემი ,,მონტერეი.‘‘ ამერიკელთ შემოუთვალეს, რომ მანილიას ყუმბარებს დაუშენთ 9 აგვისტოს შუადღისასაო. 13 აგვისტოს მანილია დამორჩილდა ამერიკელებს, რომელთაც თავიანთი დროშა აღმართეს. ესპანელთა აფიცრები თავისუფლად არიან. სასამართლო და მთავრობა ისევ ესპანელთა ხელშია. მეამბოხენი ქალაქს გარედა დგანან.


## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერა მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერგაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—16)

## КЪ ВОПРОСУ

О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—7)

მთავარი კანტორა საქარხნო სავაჭრო ამხანაგობისა

## ,,რ. კელერი და ამხ. მოსკოვში‘‘.

არსებობს მოსკოვში, შუაბაზარში (въ среднихъ торговыхъ рядахъ).

ამხანაგობამ უკვე მოიხვეჭა ჯეროვანი სახელი იმითი, რომ მუდამ სცდილობს გააიაფოს და გააუკეთესოს თავისს ქარხანაში დამზადებული ყოველგვარი ნაწარმოები.

ცნობილია ისიც, რომ რ. კელერისა და ამხ. ქარხანაში მზადდება ისეთი საგნები, რომელნიც თავისის ღირსებით საუკეთესონი არიან.

სავაჭროს გაიაფება და კარგის ღირსების ნაწარმოების დამზადება ამხანაგობამ შესძლო იმის გამო, რომ დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქარხანაში დამზადებულ საგნებისა.

ამის გამო ამხანაგობა ნებას აძლევს თავისს თავს და სასურველად სცნობს, რომ მხმარებელთ თავიანთისავე სარგებლობისათვის ყველგან, როგორც მოსკოვში, ისე პროვინციების მოვაჭრეთაგან, მოითხოვონ და უპირატესობა მისცენ ამ ამხანაგობის მიერ დამზადებულს საგნებს და ვაჭრებმა-კი—შეიძინონ ამავე ამხანაგობის მიერ დამზადებული საგნები, რომელთა გაყიდვის გამოც არ შერცხვებიან არასოდეს წინთავსიან მუშტარეთში (3—.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 5 го Августа 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.